№ 103
კვირა, 14 მაისი, 1900 წ.

187 —1900

# ივერია

№ 103
კვირა, 14 მაისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ოლღოთის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

## ცხოვრებისათვის საჭირო შემოსავლის დაზღვევა.

იმათ, ვისაც ჰსურთ თავიანთ თანხიდგან მეტი მუდმივი შემოსავალი ჰქონდეთ, ვიდრე სხვა დაწესებულებიდგან ეძლევათ, ვურჩევთ დააზღვევონ თავიანთი შემოსავალი „როსსიას" დამზღვევ საზოგადოებაში ამ თანხის ერთბაშად შეტანით.

| დასაზღვევის ხნიერება... | 55 წ. | 60 წ. | 65 წ. | 70 წ. | 75 წ. | 80 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეტანილ თანხის მუდმივი შემოსავალი... | $8,_{07}\%$ | $9,_{44}\%$ | $11,_{14}\%$ | $13,_{46}\%$ | $16,_{03}\%$ | $17,_{77}\%$ |

ასეთი დაზღვევა გამოსადეგია ყოველ წლოვანების უფლება უქონელთა დასაზღვევად, რომელნიც დამზღვევის მზრუნველობასა ქვეშე იმყოფებიან, ერთგულ მოხუცებულ მოსამსახურეთა უზრუნველ-საყოფელად და სხვა შემთხვევებშიაც.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება გამგეობაში (პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, ს. № 76), გამგეობის განყოფილებაში ტფილისს (სერგიევის ქუჩა № 6) და საზოგადოების აგენტებთან იმპერიის ყველა ქალაქში.

## დამზღვევი საზოგადოება „როსსია".

ნაღდი თანხა საზოგადოებისა 35.000,000 მანეთს აღემატება. (6—79—6)

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" მიერ განზრახული სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 25 და 26 მაისს მუშტაიდის ბაღში, და თუ ვინიცობაა ამინდმა ხელი შეუშალა, იმ შემთხვევაში გადადებულ იქნება 28 და 29 მაისისათვის. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

მორიგი

## წლიური კრება

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

### დანიშნულია

21 მაისს, კვირას, დილის 10 საათზე, ს. კუხ, ამხანაგობის სამმართველოში. განსახილველია და დასამტკიცებელი წასული წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისათვის.

გამგე ამხანაგობისა ნ. წერეთელი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშნვით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქუთაისის ჭაცვიცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.

ჭურჭეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—8)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის სამოსამართლო პალატაში მყოფი თანამდებობათა უმცროსი კანდიდატი იოსებ ივანეს ძე ჰაიჭაძე აღნიშნულ პალატის მდივნის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, და ქალაქის მე 3 განყოფილების მოსამართლე სტატსკი სოვეტნიკი ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილი—ქალაქ ტფილისის ნოტარიუსად 1900 წლის 5 მაისიდგან.

## შემოწირულება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. სოფიო დავითის ასულმა თარხნიშვილისამ—ნაკერი ბალიში.

ქეთევან არსენაშვილისამ—ბროლის ვაზა.

# ახალი ამბავი

*** დღეს, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძისა და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაგვირგვინების დღეს, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარში საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს მიერ გარდახდილ იქმნება წირვა და სამადლობელი პარაკლისი, რომლის შემდეგაც არსენალის გორიდგან 21 ჯერ დასცლიან ზარბაზანს. წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება და, თანახმად კავკასიის მხედრობის დროებით უფროსის ბრძანებისა, დაესწრებიან გენერლები, ყველა აფიცრები და სამხედრო უწყებაში მსახურნი მოხელენი.

*** მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედდინი ხვალ, 15 მაისს, დილის 10 საათზე ჩამობრძანდება ტფილისში ბაქოს რკინის გზით. შაჰს სადგურზედ მიეგებებიან: დროებით კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსი, ქალაქის მოურავი, საბჭოს ხმოსანნი, გამგეობის წევრნი, ქალაქის წარმომადგენელნი და სხ. სადგურზედ საპატიო დარაჯი იქმნება დაყენებული. შაჰი ტფილისში სამს დღეს დაჰყოფს და შემდეგ საქართველოს სამხედრო გზით რუსეთს წავა.

რაც ხანი შაჰი ტფილისში დარჩება, ტფილისი ღამ-ღამობით გაჩირაღდნებული იქნება; უმთავრესს ადგილას: ვოკზალის ქუჩაზედ, ბარიატინსკის ქ. ასავალში და ოლღას ქუჩაზედ, რომელი გზითაც ტფილისიდგან გავა, კამარები იქნება შეკრული და ყვავილებითა და დროშებით შემკული. შაჰის დახვედრად საჭირო ხარჯს ქალაქი საზოგადო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანს.

*** სპარსეთის შაჰისათვის საგანგებო სამეფო მატარებელი დღეს, 14 მაისს, იქმნება ტფილისიდგან აღსტაფას გაგზავნილი. მატარებელში ვაგონები აღმოსავლეთის გემოვნებაზედ იქმნებიან მორთული და მოწყობილი.

*** ტყიბულის ქვა-ნახშირის სამთო-სამრეწველო საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყვია შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რომ აღნიშნულს საზოგადოებას ბათუმის ნავთ-სადგურში დაეთმოს ასე 250—300 ოთხ-კ. საჟენი მიწა, რომ ქვანახშირის საწყობი იქონიოს.

*** მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელს ნება დაურთავს ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლებისათვის ახალი საპატიო მეთვალყურეთა თანამდებობა დაწესდეს. ასეთი თანამდებობა დაარსდება ზუგდიდის მაზრაში—კულისკარისა, ნიკოსიისა, ხიბულისა, ჩაქვინჯისა და ჩყაუდაშის სასწავლებლებთან, ლეჩხუმის მაზრაში—დერჩისაში, სენაკის მაზრაში—ჭალადიდისაში და სოხუმისა—კალდახვარისა, ლიძავისა და კინდგიაში, ხოლო საპატიო მეთვალყურე-ქალთა თანამდებობანი—დედათა სამ სასწავლებელთან: ზუგდიდისა, წალენჯიხისა და ლეჩხუმის მაზრაში ცაგერის სასწავლებელთან.

*** ტფილისის საბჭოს ხმოსანთა შემდეგი სხდომა ორშაბათს, 15 მაისისათვის არის დანიშნული. ამ დღისთვის განსახილველად დანიშნულია, სხვათა შორის: 1) განცხადება ი. ს. ყორღანოვისა და პ. ი. ალიხანოვისა ავჭალის ტრამვაის უსახელო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ; 2) წინადადება ტფილისის გუბერნატორისა რიყეზე მცხოვრებთა წყალდიდობისაგან დასაცველად არხის გაყვანისა და კედლის ამოშენების შესახებ; 3) განცხადება ხმოსან ივანენკოსი იმის შესახებ, რომ დადგენილება საბჭოსი უსახელო საზოგადოებისაგან მისაღებ 600,000 მან. ქუჩების მოსაკირწყლავად, ხელმეორედ იქმნას განხილული; 4) დადგენილება გამგეობისა და კომისიის შეერთებულ კრებისა ქალაქის ელექტრონით განათების შესახებ და სხვ.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაურთავს, რომ ორის წლის განმავლობაში ადგილობრივ შეწირულებანი იკრიბებოდეს ტფილისში სახალხო თეატრისათვის შენობის ასაგებად.

*** დღეს საღამოთი ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი აღსტაფას მიდის, რომ სპარსეთის შაჰის მიეგებოს.

*** ტფილისის სასანიტარო საბჭომ ქალაქის ყველა ნაწილის ექიმებს წინადადება მისცა ახლავე შეუდგნენ ტფილისის ტრაქტირებისა, ბაკებისა, ქუხნებისა აგურხანებისა და მუშათა საცხოვრებელ ბინების სანიტარულად გადასინჯვა-შემოწმებასა.

*** როგორც „ნოვოე ობოზრენიე"-ს რედაქციის მიერ დაგზავნილ განცხადებებიდგანა სჩანს, აგვისტოს 18-დგან კვლავ დაიწყება გაზეთის გამოცემა.

⁂ ტფილისის სამკურნალო გამგეობამ ბრძანება გაუგზავნა სოფლის და მაზრის ექიმებს, რომ სოფლებში გადამდებ სენის გავრცელების დროს გლეხების ჩვენებას არასოდეს არ ენდვნენ და როცა სოფელში მივლენ ხოლმე ჯანმრთელობის შესამოწმებლად, უთუოდ გასინჯონ მცხოვრებლები. ყოველს შემთხვევაში თუ გამოჰკითხვენ ვისმე მცხოვრებთა ჯანმრთელობის შესახებ ცნობებს, გამოჰკითხონ ადგილობრივს მღვდელს, მამასახლისს, მის თანაშემწეს, მეტრიკის წიგნებში მოსძებნონ ცნობები და სხ.

⁂ კავკასიის რკინის გზის უფროსი, ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი პეტერბურგიდგან ტფილისს 25 მაისს დაბრუნდება.

⁂ სამის დღის რუსეთის სატახტო გაზეთები გუშინ ერთად მივიღეთ.

⁂ გუშინ-წინ, 12 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზედ ბორჯომში მიწა თურმე იძრა.

⁂ დღეს, 14 მაისს, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში მოხდება ცეცხლისაგან დამზღვევ ტფილისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველია ანგარიში საზოგადოების 1899 წლის მოქმედებისა და 1900 წლის ხარჯთაღრიცხვა. შემდეგ მოხდება გამგეობის წევრთა და სხვა თანამდებობის კაცთა არჩევნები.

⁂ როგორც გვატყობინებენ, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის გარდაწყვეტილებით, ჭიათურის შავის-ქვის მწარმოებელთ დაუარსებიათ დ. ჭიათურაში სასანიტარო სამმართველო, რომელიც 12 მზრუნველისა და ერთის მმართველისაგან შესდგება. სასანიტარო სამმართველოს შესანახი ხარჯი შავის-ქვის მწარმოებელთ უნდა გაიღონ. სულ ამ საქმეს დასჭირდება 7000 მანეთამდე. ეჭვი არ არის, ასეთის დაწესებულების დაარსება, რომელმაც ქალაქის სისუფთავისა და ხალხის ჯან-მრთელობისათვის უნდა იზრუნოს, დიდ სარგებლობას მოუტანს ჭიათურას, სადაც ყოველ წელს აუარებელი მუშა ხალხი იყრის თავს.

⁂ როგორც დ. ოჩამჩირედგან სწერენ გაზ. „ცნობის ფურც.“-ს, ამ წლის პირველ იანვრიდგან 300 ათასზედ მეტი ფუთი სიმინდი გაუტანიათ საზღვარ-გარედ; რადგანაც შარშან აფხაზეთში მოსავალი სიმინდისა ნაკლები იყო, ამიტომ ვაჭრობა ძალიან დაეცა იქ წელს; ფუთი სიმინდი 46—49 კაპ. ფასობსო.

⁂ როგორც აჭარიდგან ატყობინებენ გაზ. „ცნობის ფურც.“-ს, იქაურები დღემდის არ იშლიან თურმე და ისევ ოსმალეთში გადასასახლებლად ემზადებიან. განსაკუთრებით ზემო აჭარელებს არ უდგებათ გული. ამას წინად ზემო აჭარის ს. ბაკოდგან 60 კომლი გადასახლდა ოსმალეთში, სახელდობრ ბურსაში. მიზეზი აყრისა სახნავ-სათესის სიძვირეა. ოსმალეთიდგან მოსული ფანატიკოსი მოლებიც ბევრს აგულიანებენ: ოსმალეთში წამოდით და ფადიშაჰი თვისის უხვის მოწყალებით ალაგსებთ თვისს ერთ-მორწმუნე ხალხსაო.

⁂ ქალაქის 1-ლი განყოფილების მოსამართლემ, განიხილა-რა 12 ამა მაისს საქმე ყასბის ახშარუმოვისა, რომელიც მამა დავითში ვაჭრობს ხორცით, 50 მან. ჯარიმა გარდაუწყვიტა ახშარუმოვს იმის გამო, რომ გირვანქა ხორცზედ 2 კაპიკით მეტი აუღია, ვიდრე ნიხრით არის დადებული.

⁂ ტფილისსა და ბაქოს შუა რკინის გზა უკვე შეუკეთებიათ, მაგრამ მატარებლები მეტად მძიმედ დაიარებიან ჯერ-ჯერობით, რადგანაც საშიშოა.

⁂ ტფილისის სამხედრო-სამკურნალო ლაბორატორიის ასსისტენტი ა. ი. გოლოვკოვი ჭიათურაში წავიდა ადგილობრივ გაჩენილ მუცლის სახადის გამოსაკვლევად.

⁂ ს. ზემო-მაჩხაანი. მართალია ზემო-მაჩხაანიც ქიზიყის სხვა სოფლებს არ ჩამოუვარდება მცხოვრებთა რაოდენობითა (700 კომლია), მაგრამ მისდა სამწუხაროდ ამ 700 კომლიანს სოფელს თავისს ბავშვებისათვის სკოლა არა ჰქონდა დღემდის, რომ, სხვა ცოდნას არ ვიტყვით, წერა-კითხვა მაინც ესწავლათ. აქაური ბავშვები ამის გამო მარზაანის სკოლაში დაიარებოდნენ, რისთვისაც ზემო-მაჩხაანელები აღნიშნულს სკოლას შეშით და ბიჭის დაქირავებით ეხმარებიან დღესაც. მაგრამ ჩვენც მოგვხედა ღმერთმა და ბლაღოჩინის მ. კირილე ღვთისავრიშვილის მეცადინეობით 1-ლს ამ მაისს ზემო-მაჩხაანში გაიხსნა სამრევლო დედათა სკოლა. სკოლისათვის სოფელმა ააშენა ერთი მოზრდილი ოთახი (12 არშინი სიგრძე, 6 სიგანე) სასოფლო კანცელარიის გვერდით, დაჰპირდა შეშასა და დაუქირავა ბიჭი. სწავლება ჯერ ხნობით, მამა ღვთისავრიშვილის გარდა, რომელიც საღმრთო სჯულს ასწავლის, იკისრა ქ-ნმა ოლგა ნატროშვილისამ, რომელმაც ეს ერთი წელიწადია ეპარქიალურს სასწავლებელში დაასრულა სწავლა. პირველს დღესვე სკოლაში 75 ქალი გამოცხადდა, ხოლო მეორე-მესამე დღეს 100-მდის ავიდა მოსწავლეთა რიცხვი. რადგანაც ეს შენობა მსურველთ ვერ იტევს, ბლაღოჩინისავე თხოვნით სოფელმა გარდასწყვიტა უფრო ფართო შენობა მოუმზადოს სკოლასა.

იმედია, რაკი დაიწყო და ეს სასურველი აზრი განახორციელა მამა ბლაღოჩინმა, იმასაც ეცდება, მტკიცე ნიადაგზედ დააყენოს, ე. ი. ეცადოს მასწავლებელს მთავრობამ ჯამაგირი დაუნიშნოს და სკოლასაც, რომელიც დღეს სწავლის მსურველთ ვერ იტევს, შესაფერი შენობა უშოვოს.

⁂ ს. ჯუგაანი (ქიზიყი). შვიდ მაისს, ძელი-ცხოვლობის დღესასწაულის დღეს, აკურთხეს ჯუგაანის სამრევლო-საეკლესიო სკოლის ახალი შენობა. კურთხევაზედ მიწვეული იყო მრავალი საპატიო სტუმარი. მწირველი ბრძანდებოდა ხირსის მონასტრის არქიმანდრიტი მამა ლეონტი ადგილობრივ ეკლესიის კრებულითურთ. წირვაზე სკოლის გამგე მღვდელმა ეგნატე მეხთუმშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ ლიტანიით გამართეს სკოლის შენობისაკენ, სადაც ქიზიყის ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ თავი მოეყარათ. ერთის მხრივ ადგილობრივ ეკლესიის დღესასწაული და მეორეს მხრივ მშვენიერი დარი ხელს უწყობდა ამ აუარებლის ხალხის მოსვლას და ჯუგაანელთათვის სასიხარულო დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას. მცირე აიაზმისა და შენობის კურთხევის წესის შესრულების შემდეგ, სამრევლო სკოლათა მეთვალ-ყური მღვდელმა მამა დავით იაშვილმა გრძნობით აღსავსე სიტყვა წარმოსთქვა. აიაზმის სხურების შემდეგ, თუქურმიშიდგან მოწვეულმა ფოტოგრაფმა შეკრებილებისა, სკოლის შენობისა, აშენების კომიტეტის წევრთა და სხვათა საპატიო სტუმართა სურათები გადაიღო. სტუმრები სადილად ადგილობრივ მამასახლის გიგა ალადაშვილთანა ბრძანდებოდნენ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სკოლის შენობის აგებაში.

⁂ ქ. თელავი. აპრილმა თითქმის სულ წვიმით გაიარა და მაისშიაც დღედა ღამე სწვიმს. ამასთანავე მაისის პირველ რიცხვებში ძალიან აცივდა, რამაც ბევრს პალტოები მოანახვინა და ზოგან დუმელებიც აანთეს.

⁂ 1900 წლის 23 აპრილიდგან 1-ლ მაისამდე ტფილის'ში გადამდებ სენით ავად გამხდარა სულ 16 კაცი; ამათგან ყვავილით 1, წითელათი 8 (1 გარდ.), ყელჭირვებით 4, ხუნაგით 1 (1 გარდ.), და კანის სახადით 2.

⁂ 8 მაისს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის მე-8 ნაწილში, გონჩაროვის ქუჩაზედ, სახ. № 32 ლევან ადამოვის ბინიდგან მოუპარავთ დიდი სპარსული ხალიჩა. ქურდი აღმოჩნდა ტფილისის მოქალაქე ივანე გორგიჯანოვი. მოპარული ხალიჩა უკვე უპოვნიათ. ხალიჩა პატრონს დაუბრუნეს, ხოლო ქურდი პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

⁂ სამშაბათს, 9 მაისს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციის—5 ნაწილში, იერუსალიმის ქუჩის შესახვევში, ალალაშვილის სახლებში, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ გაუღიათ მორგებულის გასაღებით სიმხი მამიტეროვის ბინა, საიდგანაც წაუღიათ სხვა-და სხვა ნივთები სულ 14 მან. 50 კაპ. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

⁂ 9 მაისს კახენეც-პოდოლსკის გუბერნიის მცხოვრები გლეხი ზინოვი შულმიანსკი მივიდა პოლიციაში და გამოაცხადა, ალექსანდროვის ბაღში, 5 მაისს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა ჯიბიდგან 116 მან. ამომაცალაო. ქურდის აღმოსაჩენად ღონისძიება არის მიღებული.

## კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

პარასკევს, 12 მაისს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 9 საათზედ, უგანათ. თ. პ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით დაიწყო გაგრძელება 9 მაისის კრებისა. კრებამ განიხილა საბაღოსნო სკოლის ამა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. წარმოდგენილ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ კამათმა ნაშუაღამევის 2 საათამდე გასტანა. სხვათა შორის, კრების ყურადღება მიიქცია ზოგიერთ წევრის აზრმა იმის შესახებ, რომ საბაღოსნო სკოლის ადმინისტრაცია თითქმის ყოველ წელიწადს ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულ თანხაზედ მეტს ჰხარჯავსო, ასე რომ ამ ჟამად სკოლას 8,000 მანეთამდე ვალი აქვსო. გამოთქმულ იქმნა აგრეთვე ის, რომ საბაღოსნო სკოლის ადმინისტრაცია თავისის მოქმედებით სამეურნეო საზოგადოების სრულს ნდობას ჰკარგავს და ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული გამგე კომისია ამოირჩიოთ, რომელსაც სკოლის ქონებითი მხრით მართვა-გამგეობა უნდა დაევალოსო. გამგეობამ კრებამ ეს აზრი და დაადგინა: განსაკუთრებული გამგე-კომისია ამოირჩიოს. გამგე-კომისიის წევრებად ამოირჩიეს შემდეგნი: ს. დახნდუროვი, ბ-ნი ა. ნატროშვილი, გ. გართასხანცი, ა. საავიანცი და ბ-ნი სოკოლოვი.

მერე კრებამ ზოგიერთი მუხლის შეცვლის შემდეგ დაამტკიცა ამა 1900 წლის საბაღოსნო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა. როგორც დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვიდგანა სჩანს, სკოლას სხვა-და-სხვა წყაროდგან შემოსავალი ექმნება სულ 20,689 მან. 50 კაპ., ხოლო ხარჯი-კი 20,519 მან. 15 კაპ.

კრება ნაშუაღამევის 2 საათზე დასრულდა.

## წერილი ბათუმიდგან

—

როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უკვე უწყიან, 26 წარსულ მარტს მოხდა ბათუმის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების წევრთა წლიური კრება წარსულის წლის ანგარიშისა და მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვის განსახილველად და დასამტკიცებლად, და აგრეთვე სარევიზიო კომისიისა და საბჭოს მოხსენებების მოსასმენად. კრების დასრულებისას, გამგეობის ერთის დირექტორის (ი. ს. პარუნბეგოვისა, რომელიც უკანასკნელ დრომდე ორ თანამდებობას ასრულებდა—დირექტორისას და ბუჰგალტერისას) არჩევნების დროს კამათმა ცხარე ხასიათი მიიღო.

ერთი ნაწილი კრებისა თხოულობდა, რომ არჩევანები კენჭის ყრით მომხდარიყო, მეორემ კი უარ-ჰყო-რა ასეთი არჩევანები, თავმჯდომარის სტოლს შემოეხვია და ხმა მაღლა მოითხოვა, რომ არჩევანები უკენჭოდ, ერთ-ხმად მომხდარიყო. ყოველმა ცდამ თავმჯდომარისამ, რომელიც კრებას დაწყნარებასა და მშვიდობიან კამათსა სთხოვდა, უნაყოფოდ ჩაიარა.

საბჭოს თავმჯდომარემ გ. ი. ვოლსკიმ, რომელიც ამ დღეს კრებასაც თავმჯდომარეობდა, რადგანაც ეს ერთი ნაწილი საზღვარს გადასცდა, მუშტებით სტოლს მიუახლოვდა და კენჭის ჩასაყრელ ყუთებს გადაბრუნებას უქადდა, საჭიროდ სცნო კრების მოსპობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ საერთო არეულობაში გაისმა ხმა მაღალი შებაასება გიმნაზიის მასწავლებელ ბოგოსლოვსკისა და ბ-ნ პოლსკის შორის, და ჰაერშიაც ჯოხი დატრიალდა...

თავმჯდომარის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ ამ დღეს მან დიდი სიმტკიცე და ხასიათი გამოიჩინა. ყველაზედ მეტად ამ დღეს თავი მოაბეზრა კრებას ერთმა, რომელიც თავ-გამოდებით სცდილობს მოპოებას ჰეროსტრატის სახელისას და... რომელიმე ადგილისას, თუნდა ბანკის დირექტორის ადგილისა.

მეორე კრებამ, რომელიც 30 აპრილს მოხდა, წყნარად და წესიერად ჩაიარა. მიწყნარდნენ და მიჩუმდნენ ისინი, ვისთვისაც საქმე „წასული“ იყო. ი. ს. პარუნბეგოვმა უფრო გონიერად სცნო რომელსამე თანამდებობაზედ ყუთის დადგმის უარი განეცხადებინა. გულ-მოდგინე plus roylistes que le roi meme-ნი მისწყნარდნენ. ქარიშხალის შემდეგ წყნარი და მშვიდი ამინდი დადგა. კრების დაწყებისას გ. ი. ვოლსკიმ თავმჯდომარედ ყველას მიერ პატივცემული თავ. ა. მ. ლორთქიფანიძე დაასახელა. გაისმა ხმები, რომელნიც თავმჯდომარედ გ. ა. პალმსა თხოულობდნენ, „Черном. Вѣст.“ რედაქტორს, რადგანაც თავ. ლორთქიფანიძემ უარი განაცხადა, ხმები განაწილდა: ზოგნი ბ-ნ ვოლსკისა სთხოვდნენ დარჩენილიყო თავმჯდომარედ, ზოგნი კიდევ ბ-ნ პალმს იწვევდნენ. ბ-მა პალმმა, როდესაც თავმჯდომარე შეეკითხა, ყუთის დადგმის თანხმობა განაცხადა. როდესაც კენჭი უყარეს, მკურნალს ვოლსკის ამოუვიდა 169 თეთრი და 78 შავი კენჭი, ხოლო ბ-ნ პალმს—98 თეთრი და 149 შავი.

შემდეგ საბჭომ განაცხადა, რომ ჩვენ ერთხმად ა. ტ. ნ-ნეიშვილის კანდიდატურაზედ დავდექითო, და ურჩია კრებას დირექტორად ის ამოერჩიათ. რადგანაც კრება თითქმის თანახმა იყო ბ-ნ ნანეიშვილის არჩევასა, ზოგმა განაცხადა, რომ საქმის გაჭიანურებისა და კენჭის ყრის ნაცვლად ნანეიშვილი ერთხმად ავირჩიოთო. თავმჯდომარემა სთქვა, ასეთის არჩევანების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ თუ ერთი მაინც აღმოჩნდა და კენჭის ყრა მოითხოვა, ვურჩევ კრებას დროს დაკარგვას ნუ დაერიდოს და კენჭის ყრას შეუდგესო. მაშინ ბ-ნმა პალმმა მოითხოვა, არჩევანები კენჭის ყრით მომხდარიყო. სხვა კანდიდატი არავინ აღმოჩნდა; ყუთი მარტო ბ-ნ ნანეიშვილს დაუდგეს, რომელსაც ამოუვიდა 187 თეთრი და 59 შავი კენჭი.

საბჭოს წევრის თანამდებობაზედ კენჭი იყარეს ი. კ. ლომინაძემ, ლ. ს. ქიქოძემ, ნ. ა. საბაშვილმა, ლ. ზიბელმეისტერმა და გ. ლ. ელიავამ. არჩეულ იქმნა პირველი სამი. ასე გათავდა ეს კრება.

2 მაისს „Черном. Вѣст.“-ს მე-98 ნომერში, იმ გაზეთის ახალ-ამბებში, რომელიც მთელ სვეტებს უმნიშვნელო, უყურადღებო პოლიციის ამბებს უთმობს, დაიბეჭდა მოკლე და თავისებურის ხასიათის ანგარიში აქ აღწერილ საკრედიტო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებისა. თავისს შესახებ ბ-ნი პალმი, რასაკვირველია, სიტყვასაც არ ამბობს: „საზოგადო კრების თავმჯდომარედ, კენჭის ყრის შემდეგ, არჩეულად აღმოჩნდა ბ-ნი ვოლსკიო“... შემდეგ ვკითხულობთ: „რადგანაც სხვა კანდიდატი არავინ აღმოჩნდა, თავმჯდომარემ წინადადება მისცა კრებას ბ-ნი ნანეიშვილი ერთ-ხმად აერჩიათ, მაგრამ ამას წინ აღუდგნენ, რის გამო კენჭის ყრა მოხდა. ბ-ნი ნანეიშვილი არჩეულ იქმნა, ამოუვიდა 59 შავი და დახარჩხა(?) თეთრი კენჭი...“ განა, მკითხველო, ძალიან მოხერხებულად და ოსტატურად არის დაწერილი ეს სტრიქონები?

აქ ეს გაზეთი ისე ილანძღება და იგინება, როგორც საოპერეტო დედაბერს შეჰფერის. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო“!..

თ.

## ქართულის პოეზიის ნიმუშები მალოროსიულად.

საქართველოში ბევრმა არც-კი იცის, თუ არსებობს მალოროსიული ახალ-ზედ ლიტერატურა. თუმცა ამ მწერლობას დიდი ხნის დასაწყისი არა აქვს, მაინც შეგვიძლიან დავასახელოთ გამოჩენილი და საყურადღებო პოეტები და [illegible] ახალგაზრდა მწერლობა [illegible] აგრეთვე [illegible] სხვათა შორის ქართულს ლიტერატურასაც მიაქციეს ყურადღება და [illegible] მალოროსიულ ჟურნალები, სადაც ქართულს ლექსებ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალოროსიულად შევხვდი, გამოდის გალიციაში, ქალაქს ლვოვს. აქ, სხვათა შორის, ორი ჟურნალია, სადაც იბეჭდება ჩვენის პოეტების ნაწერები. ერთი ამ ჟურნალთაგანი—„განთიადი“ („Зоря“), ნახატებით შემკობილი, დაარსებული მალოროსიელთა გამოჩენილის პოეტის შევჩენკოს სახელობაზედ. რედაქტორია ალექსანდრე ბორკოვსკი. მეორე ჟურნალს ჰქვიან „Правда“. პირველს ჟურნალში დაიბეჭდა ლექსი ილ. ჭავჭავაძისა „პოეტი“, ნათარგმნი მშვენიერის ენით პავლე გრაბას მიერ. იგი იწყება სიტყვებით:

„Не гуящому на втиху
Як та пташка середь чаю
Не для жарту, не для сьміху
Я пісни мої сьпіваю.

ამავე გრაბამ (ანუ გრაბოვსკიმ) სთარგმნა აგრეთვე „ელეგია“ ილ. ჭავჭავაძისა.

Примінсм сріблястим сипле
місяченко...

ნათარგმნი აქვს „გაზაფხული“, „მას აქეთ, რაც შენდამი ვცანი“ და „გუთნის დედა“ („Орач“: „Геи мій воле бідолашний).

ნ. ბარათაშვილისგან ნათარგმნია, „ლოცვა“ (Зглянь ся, о Боже, на грішнаго сина“). აკაკი წერეთლის „ავადმყოფი“ [„Хвора“] დაბეჭდილია ჟურნალ «Правда»-ში 1893 წ. („Ни не зашнула вона, Вона зморивившись почивав“); რაფ. ერისთავის ლექსი „რად გინდა სარკე, შე ცელქო, შენა!“ ნათარგმნია იმავე „Правда“-ში: „На що побі дзеркало моя ти мила“ 1894 წ. „Правда“-მ დაბეჭდა აკაკის ორი ლექსი „ახალი წელი“ (Я чару у руках примаю.“) და „ნატვრა“ (Бажання“: „Бажаю я волі для тебя о міла“) ნათარგმნია: თითო ლექსი მამია გურიელისა, ი. დავითაშვილისა და სხვ. ჟურნალს „Заря“-ში მოუთავსებია მოკლე მიმოხილვა ქართულის ისტორიის და ლიტერატურისა. ლექსები ზოგი, როგორც სჩანს, რუსულიდგან არის ნათარგმნი, ზოგი-კი პირდაპირ ქართულიდგან. ვისურვებთ მალოროსიული ლიტერატურის აღორძინებასა და ჩვენის მწერლობის უკეთ გაცნობას.

ა. ხახანაშვილი

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ჰო, ქუთაისის „დიდის სურვილის მქონე პატარა წრის“ წარმომადგენელი პ. სურგულაძე თავსა ჰმართლულობს.

რა ბრალი ედებოდა?

ის, რომ ქუთაისის წიგნთა გამომცემელ ამხანაგობის წევრთა კრებაზედ მივიდა არა-წევრად და განაცხადა: გამგეობის წევრებად ჩვენ ამოგვირჩიეთ („დიდის სურვილის მქონე პატარა წრის“ წევრნი), ისე-კი, რომ თქვენ, ნამდვილნი წევრნი, ნუ გაერევით ამ საქმეშიო.

მე ეს ვიუცხოვე და ვუკიჟინე *), მაგრამ თურმე „მსუბუქი ვყოფილვარ“ და პ. სურგულაძის „სრულიად წმინდა აზრი და მისწრაფება დამიმახინჯებია“ და მისივე „წრფელი მისწრაფება გამიქელავს“. ასე სჩივის იგი „კვალის“ მე-18 №-ში, რომელშიაც გრძელი წერილი მოუთავსებია „იძულებული განმარტები“-ს სახელით. განა რომ მომაკვდინებელი ცოდვაა!

აბა ვნახოთ, რას განგვიმარტავს ეს „იძულებული განმარტება“?!

აი თვით პ. სურგულაძე როგორ ასწერს თავიანთ საქციელს:

„ჩვენ ჯერ მოვითხოვეთ, რომ წევრებათ(დ) მიგვეღეთ და როცა ამაზედ დათანხმდა კრება (ე. ი. დათანხმდა მიიღონ და ჯერ-კი არ მიუღიათ), მხოლოთ(დ) ამას შემდეგ განვაცხადეთ ჩვენი სურვილი: თუ გვენდობით, გვსურს ამხანაგობის გამგეობა ვიკისროთო“.

მაგრამ იქნება ეჭვი დაგებადოს, მკითხველო, ალბად წევრები ყოფილან და ამიტომ განუცხადებიათ, ამხანაგობის გამგეობა ჩვენ, „დიდის სურვილის მქონე პატარა წრეს“, ჩაგვაბარეთო? ვკითხოთ ისევ პ. სურგულაძეს. აი რა პასუხს იძლევა:

„იტყვიან: ამხანაგობის წევრებათ(დ) არ ყოფილხართ და გამგეობას ვინ ჩაგაბარებდათო. ამის წინააღმდეგ ჯერ ის უნდა მოგახსენოთ, რომ (გულ-დასმით მოისმინეთ!) ქონებრივ შეძლებას არ ახლავს თან უსათუოთ (დ) საზოგადოებრივი (ს) გრძნობის სიძლიერეც“...

როგორ მოგწონს, მკითხველო? განა რომ მშვენიერებაა!.. ბ-ნი პ. სურგულაძე, არამც თუ „დიდის სურვილის მქონე პატარა წრის“ წარმომადგენელი, არამედ ამასთან ფილოსოფოსიც ყოფილა და მოკლედ, სხარტულად, „დამაკვირდისებურად“ სცოდნია ფილოსოფიურ აზრთა გამოთქმა.

მაშასადამე, ცხვირზედ დავიჭდოთ, მკითხველო, ამ ფილოსოფიურ მოსაზრების მშვენიერი „ჯერ ის უნდა მოგახსენოთო“: თურმე „ქონებრივ შეძლებას არ ახლავს თან უსათუოთ საზოგადოებრივი გრძნობის სიძლიერეც“.

აბა განვმარტოთ ეს საკვირველ-საყურადღებო [illegible] ფილოსოფოსობა:

ვთქვათ, მაგალითად, მკითხველო, მშვენიერი ბეჭი გიდგათ წინ და ის არის ჭამას უნდა მიჰყოთ ხელი, მოვედი მე, უცხო ადამიანი, არა თქვენის ოჯახის წევრი, გარეშე, და ის ბეჭი ჩემკენ გადავიდგი. თუ იკითხეთ: ვინა ხარო? გიპასუხეთ: „ბეჭის ქონებას (ქონებრივ შეძლებას) არ ახლავს თან უსათუოდ მადის (საზოგადოებრივი გრძნობის) სიძლიერეც“-მეთქი.

ან კიდევ: თქვენ ფული მოგეპოვებათ, თქვენის მხნეობითა და მეცადინეობით შეძენილი, ან თუნდა სხვისაგან დატოვებული, მოვედი მე, იგივ უცხო, და გამოგიცხადეთ: ამოიღე ჯიბიდგან ეგ ფული და მე გადმომეცი-მეთქი. აბა მკითხეთ: რადაო? პასუხი მზად გახლავთ:

„ქონებრივ შეძლებას არ ახლავს თან უსათუოდ მისის მოხმარების უნარიც, ან დახარჯვის სურვილიც (საზოგადოებრივ გრძნობის სიძლიერეც)“-მეთქი, გეტყვით და მორჩა და გათავდა საქმე.

თუ ან ერთი, ან მეორე გეწყინათ და ამისათვის უკიჟინეთ ვისმე, „მსუბუქი იქნებით“ და „პ. სურგულაძის წრფელს მისწრაფებას გაჰქელავთ“!..

არ ვიცი, თქვენ რას იტყვით, მკითხველო, ბ-ნ პ. სურგულაძის, ამ „დიდის სურვილის მქონე პატარა წრის“ (იგულისხმე „მესამე დასის“. თუმცა თვით პ. სურგულაძე ჰბრძანებს, რომ „ჩვენ წრეში არიან არა მარტო მესამე დასელნი, არამედ სხვებიც“ ო, მაგრამ ეს დასაჯერებელი არ არის.) წარმომადგენლის ფილოსოფიურ აზრის შესახებ, მაგრამ მეკი ძალიან მომწონს და ვწუხარ კიდეც, რომ აქამდე არ ვიცოდი. რომ მცოდნოდა, მივიდოდი ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედ და მოვითხოვდი, რომ გუბერნიის მარშლად უეჭველად მე, ჩიორა, ამერჩიეთ. თუ მეტყოდნენ, „ცენზი“, უფლება არა გაქვსო, პ. სურგულაძის ფილოსოფია ადვილად გამომიხსნიდა გაჭირვებიდგან. თამამად ავიწევდი „მძიმე“ თავს მაღლა (რადგან მაშინ „მძიმე“ ვიქნებოდი პ. სურგულაძესავით, ეხლა-კი „მსუბუქი“ ვარ!), გადავხედავდი ქუთაისის თავად-აზნაურობას და ამაყად ვეტყოდი: ვაი, რა „მსუბუქები ხართ“! განა არ იცით, რომ „ცენზის ქონებას ყოველთვის არ ახლავს თან უსათუოდ საზოგადოებრივი გრძნობის სიძლიერეც“-მეთქი!.. მშვენიერია! ამისთანა საბუთის წინაშე, რასაკვირველია, მთელი ქუთაისის გუბერნიის თავად-ზნაურობა ქედს მოიხრიდა და კრინტს ვეღარ დასძრავდა.

მაგრამ, ვაგლახმე, რომ ეხლა გვიანღაა, ნეტავ ადრევე მქონოდა პ. სურგულაძის „სიმძიმე“!.. მაშინ, რასაკვირველია, არც მე და, ჩემთან ერთად, არც ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წევრთ არ გვეუცხოვებოდა პ. სურგულაძისა და მისის „დიდის სურვილის მქონე პატარა წრის“ „გულწრფელი მისწრაფება“ და ისე უკადრისად და „მსუბუქად“ აღარ მოვექცეოდით.

ეხლა-კი, გამოსთქვა რა საუცხოვო ფილოსოფიური აზრი, სამართლიანად შესჩივის პ. სურგულაძე მკითხველებს:

„ხომ ხედავთ, მკითხველნო, ჩვენ აღნაგებიით *) [illegible] **) კრებაზე, მხოლოთ(დ) მშვიდობიანათ(დ), გულახდით და სიკეთის სურვილით“-ო.

ოღონდაც რომ ვხედავთ. ვხედავთ და გვესმის, რა „წრფელი განზრახვა და დიდი სურვილიცა“ ჰქონია მესამე დასს და რა „მძიმე“ ყოფილა პ. სურგულაძე. ისეთი „მძიმე“, ისეთი „მძიმე“, რომ... დროა წერტილიც დავსვათ.

ჩიორა

*) იხ. ჩემი „სახელდახელო“, „ივერია“, № 82.

*) ეს „აღნაგები“ ნეტა რომელ პლანეტის მხეცები უნდა იყვნენ?!. საბა-სულხან ორბელიანი განმარტავს, რომ აღნაგი აღგებულსა ჰნიშნავსო (იხ. საბას ლექსიკონი, გვ. 21), ამასვე ეთანხმება განსვენებული დ. ჩუბინაშვილი: აღნაგი არის ნაშენი, აღგებული. ნეტა ამ აზრით ამ შემთხვევაში მის ხმარებას რა ალაგი უნდა ჰქონდეს? მაგრამ ესეც იქნება იმიტომ არ მესმის, რომ პ. სურგულაძესავით „მძიმე“ არა ვარ?!.

**) ალბად „მივსულვართ“ უნდა იყოს, თორემ მკითხველებს ხომ არა ჰქონდათ კრება, რომ იმათთან „მოსულიყო“ „დიდის სურვილის მქონე პატარა წრე“.

## ვარამი ჩვენის ცხოვრებისა

(წერილები ქართველ დედასთან)

### წერილი მესამე

ღვინო უფროსსაო,
წყალი უმცროსსაო.
ანდაზა

თქვენს უკანასკნელს წერილში იწერებით: „ჩემი ბიჭუნა ეს ორი თვეა, რაც ვერა მყავს გუნებაზედ—ანჩხლობს, ჟინიანობს, სულ ეძინება და მთლად მოდუნებულია ტანშიო. სამის წლიდგან ყუათისთვის წითელ ღვინოსაც ვასმევ, მაგრამ უკეთესობას ვერაფერს ვამჩნევ; მირჩიე, რა ვქნა, ვის მივმართო, რა გზას დავდგე?“ წარმომიდგენია თქვენი მდგომარეობა; სულ მუდამ თვალ-წინ მეხატება თქვენი დედობრივი სიყვარულით მიმკრთალებული და შეწუხებული სახე. ერთი ამონაკვნესი თქვენის შვილისა თქვენი საკუთარი გულის ძგერაა, მისი ცრემლი—ნაღვლიანი კვნესაა თქვენი, მაგრამ ყველაფერში მამაცობაა საჭირო, ვაჟკაცობა, მდგომარეობისა, დედობრივის გრძნობის დროებით შეკავება. და მაშინ მიჰხვდებით, რომ თქვენის შვილის მდგომარეობა ისე სახიფათო არ არის, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. ამას გარდა არც თქვენა ხართ მაგისთანა მდგომარეობაში ყოფნის ერთად-ერთი მაგალითი. მაგ გვარი მაგალითი ბევრია და მათ შორის ერთი უფრო თვალ-საჩინო და შესანიშნავი შემდეგია.

ერთს პროვინციაში მცხოვრებ დედას შვილი ჩაუყვანია ქალაქ დრეზდენში და გიმნაზიაში მიუბარებია. პატარა მაქსი შესანიშნავი ჯან საღი და ნიჭიერი ბავშვი ყოფილა. მთელი წელიწადი ისე კარგადა სწავლობდა თურმე, რომ ალტაცებაში მოჰყავდა მასწავლებლები. წარმოუდგენელია დედის სიხარული, მაგრამ ამ წუთისოფელში განა ბევრხან გაიხარებს კაცი? ერთს დღეს დედას მოსდის წერილი ერთის მოხელისაგან, ვისთანაც ის ბავშვი იდგა: თქვენმა შვილმა ზარმაცობა დაიწყო და ეს სამი თვეა ცუდი ნიშნები მოაქვს სკოლიდგანაო. გულ-გახეთქილი დედა მაშინვე ჩაიჭრება ქალაქში და რას ჰხედავს: მაქსი—ეს ერთად ერთი შვილი დედისა—ფერ-მიხდილია, ლოყები წითლად აღარ უღვივის, აქაიქ სახე წითლად [illegible], უყურადღებო და ხან-და-ხან უმიზეზოდ ჟინიანი. როგორც ჩვეულებად აქვთ, ყველაფერი მასწავლებელს გადააბრალეს, მაგრამ ამითი საქმე არ გაკეთებულა. ბოლოს იძულებულნი გახდნენ ერთის შესანიშნავ პროფესორ მკურნალისათვის მიემართათ. პროფესორმა თავისებურის სიდინჯით გამოიძია ყველაფერი და რა აღმოჩნდა? ის, რომ „ყუათისათვის“ ამათაც ლუდის და ღვინის სმა დაეწყებინებინათ ბავშვისათვის. პროფესორმა რეცეპტი არ დაუწერა. მხოლოდ უბრძანა, მოესპოთ ლუდისა და ღვინის ძლევა. და რა შედეგი მოჰყვა ამ განკარგულებას?—მაქსს სისაღე და მეხსიერება დაუბრუნდა, გამოცოცხლდა და ისეთივე ბავშვი შეიქმნა, როგორიც წინად იყო.

თქვენის შვილის შეუძლებლობა, როგორც ნიშნებიდგანა სჩანს და როგორც აქაურმა ერთმა კარგმა მკურნალმაც დამარწმუნა, წარმოსდგება ღვინისაგან, რომელსაც თქვენ „ყუათისათვის“ ასმევთ. იქნება გაგიკვირდეთ, სისულელეშიდაც ჩამომართვათ, მაგრამ ეს ასეა—თქვენ საწამლავს აძლევთ თქვენს შვილს და გგონიათ-კი, რომ იგი ყუათზედ მოგყავთ. მოსპეთ ეხლავე ღვინის დალევინება და თქვენი ბავშვი განიკურნება ისე, როგორც მაქსი განიკურნა დაუძლურებისაგან.

იმის გამოსარკვევად, თუ რა ცუდი გავლენა აქვს მაგარს სასმელებს ბავშვის ჯან-მთელობაზედ, მივმართავთ მცოდნე კაცთა ნათქვამს. პარკესის გამოკვლევით, მაგალითებრ, როცა ქარხანაში მომუშავე ბავშვებს შორის ზოგს ცოტაოდენი ლუდი დაალევინეს, ზოგს-კი სულ არაფერი და მუშაობაზედ დააყენეს, აღმოჩნდა, რომ უსმელნი ყოველთვის უფრო კარგად და მეტს ჰმუშაობდნენ, ვიდრე ლუდ-დალეულნი. ეს ცოტაა კიდევ. პროფესორი დემმე აი რა საინტერესო ამბავს მოგვითხრობს: „სკოლის რამდენსამე ჯან-საღს მოსწავლეს სამის ოთხის თვის განმავლობაში არ ასმევდნენ არავითარს მაგარს სასმელებს, მხოლოდ შემდეგში დაუწყეს მათ მეტად ზომიერად ღვინის ძლევა—მუდამ დღე სადილ-ვახშმად; პატარებს ეძლეოდა წყალ-ნარევი ღვინო ³/₄ ჭიქაზედ, მოზრდილებს-კი ¹/₂ ჭიქა და მარტო ამ გარემოებამ აი რა შედეგი გამოიწვია: როდესაც ღვინო ეძლეოდათ, ბავშვები უფრო მძინარანი, უყურადღებონი, უფრო მოდუნებულნი და ბრაზ მორეულნი ხდებოდნენ, ვიდრე მაშინ, როდესაც ღვინოს არ ასმევდნენ“.

ის აზრი, რომ ვითომც ღვინო „ყუათს“ აძლევდეს ადამიანსაო, ჰბრძანებს თავისს ლექციაში პროფესორი ფორელი, კარგს გუნებაზედ მოჰყავდეს კაცი, ახურებდეს, ათრობდეს, აფხიზლებდეს და სხვანი, დამყარებულია გრძნობათა მოტყუებაზედ. ჭეშმარიტებააო, განაგრძობს ეს პატივცემული პროფესორი ციურიხის უნივერსიტეტისა, (იხ. „დროა გონს მოვიდეთ“! ივანე როსტომაშვილის გამოცემა), რომ ბავშვები, რომლებსაც მაგარ სასმელებს ასმევენ, ასე გასინჯეთ წყალ ნარევსაც კი,—უფრო მძინარანი ხდებიან, უყურადღებონი, ჯან ღონით მოდუნებულნი, უხასიათონი და მეხსიერებაც სრულიად იხშობა. [illegible] ცუდად ჰმოქმედებს გულსა, ფილტვებსა, სტომაქსა და თირკმელებზედ, სწვამს და ამას გარდა, ძალიან ცუდადვე ჰმოქმედობს ტვინზედაც. „ბავშვებისათვის წმინდა რძე, ან ადუღებული, წყალ-ნარევი, და წმინდა წყალი საუკეთესო სასმელად უნდა ჩაითვალოს. სხვა ყოველივე-კი, როგორც, მაგალითად, ჩაი (უმეტესად მაგარი), ყავა, შოკოლადი, ღვინო, ლუდი და სხვა სრულიად მავნებელია, რადგანაც ნერვებს აღუძრავსო ამბობს დოქტორი ბოკი, და ამისთვის აკრძალული უნდა იყოსო (იხ. წიგნი „Будьте Здаровы“. Соч. доктора Бокъ). „წყურვილის მოსაკლავად ბავშვებისათვის საუკეთესო სასმელია წმინდა წყალი და რძე, რომელთა გარდა სრულიად უნდა აღიკრძალოს სხვა სასმელები: ჩაი, ყავა, შოკოლადი, მეტადრე მაგარი სასმელები, რომლებიც ძარღვებზედ მეტის-მეტად ცუდად ჰმოქმედებს“ (იხ. წიგნი: „Очеркъ практ. педагогики“, Соч. доктора Ф. Диттеса, директора пед. въ Вѣнѣ).

ამ ნათქვამის შემდეგ ვგონებ თამამად შეიძლებიან გირჩიოთ, რომ, თქვენის შვილის საბედნიეროდ, მოსპოთ ყოველი ამგვარი სასმელების ხმარება და ყოველს შემთხვევაში მიჰმართოთ ისევ იმ დიდებულს ბუნებას, რომლის სუფრაზედაც ყველაფერია, რაც-კი რამ საჭიროა, შვილის გამოსაკვებად და მისის დღეგრძელობისთვის.

ალ. ნათაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთი

**ინგლისი.** მეფეკინგის განთავისუფლების ამბავს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი მხიარულება გამოუწვევია ლონდონში. ცხრა საათიდგან თორმეტამდე, როცა ჩვეულებრივ დროს ქუჩებში ჭაჭანება არ არის ხალხისა, როცა ამბავი მოვიდა, რომ ბურებმა ალყა შემოხსნეს მეფეკინგს და ინგლისის ჯარი დაუბრკოლებლივ შევიდა ქალაქშიო, ხალხით ავსილა. ეტლების მოძრაობა შეჩერებულა მთავარ-ქუჩებში. აქა-იქ გაჩერებული ომნიბუსები ბაირაღებით მოურთავთ და მეეტლეები ხმა მაღლა გაზეთებს უკითხავდნენ თურმე შეგროვილს ხალხს. მრავალ მოსეირნეს ბაირაღები სჭერია ხელში და მხიარულად მღეროდნენ. უცნობი კაცები ალერსიანად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და ხელს ართმევდნენ. თეატრებში წარმოდგენები შეწყვეტილა; თეატრის დირექტორები და აქტიორები სისწრაფით შერბოდნენ თურმე სცენაზე და გაიძახოდნენ: „მეფეკინგი განთავისუფლდა, მეფეკინგი განთავისუფლდაო!“ ორკესტრი საეროვნო ჰიმნს უკრავდა და ხალხი ხმას აყოლებდა. ქუჩებში ასი ათასი კაცის ხმაურობა და აღტაცებულ კაცების სახის გამომეტყველება, რომელნიც ბაირაღებს აფრიალებდნენ ჰაერში, გარეშე მაყურებელს თავბრუს ასხამდა თურმე.

— გაზეთებს აუწყებენ ლონდონიდგან, რომ დედოფალ ვიქტორიას თანდათან აკლდება მხედველობაო. ეხლა დეპეშებსა და წერილებს სხვები უკითხავენ თურმე ხმა მაღლა. წერა სრულებით აღარ შესძლებია და მხოლოდ თავისს სახელს [illegible] აწერს თურმე ქაღალდებს. ამას წინად ერთი გამოჩენილი თვალის ექიმი მოუწვევიათ საზღვარ-გარეთიდგან, მაგრამ იმასაც ვერაფერი უშველნია.

— კემბრიჯის უნივერსიტეტს გადაუწყვეტია უფლებათა საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭოს შვეციის მეფეს. ამ შემთხვევის გამო უნივერსიტეტის დეკანს სიტყვა წარმოუთქვამს, რომელშიაც განუცხადებია, რომ ინგლისის ძველი უნივერსიტეტი ამპარტავნობს იმით, რომ თავისს საპატიო დოქტორებში უნდა ჩარიცხოს მეფე, რომელმაც აშკარად დაამტკიცა თავისი მეგობრობა ინგლისის სამეფო გვარეულობისა და მთელის ბრიტანიის იმპერიისადმიო; რომელმაც საქვეყნოთ აღიარა თავისი რწმენა, რომ ინგლისის მხრივ არის სიმართლე სამხრეთ აფრიკის საქმეებშიო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

რამდენია მთელს რუსეთში გაზეთი? რუსეთში, რომელშიაც 130 მილიონი სული მკვიდრობს, სულ 779 ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება (ფინლიანდიის გარდა). ერთი გამოცემა 167,000 მცხოვრებელზედ მოდის. გერმანიაში-კი 6.500 გაზეთი იბეჭდება, ერთი გაზეთი ყოველ 8,000 მცხოვრებელისათვის. ჩრდილოეთ ამერიკის შტატს მიჩიგანში ორი მილიონი მცხოვრებელია და 860 ჟურნალ-გაზეთი იბეჭდება, ე. ი. 2,500 მცხოვრებელზედ თითო გაზეთი. რუსეთის 779 ჟურნალ-გაზეთიდგან რუსულს ენაზედ იბეჭდება 631, პოლონურზედ—65, გერმანულზედ—42, ესტონურზედ—11, ფრანგულზედ—8, ლათინურზედ—9, სომხურზედ—6, ქართულზედ—5 და ებრაულზედ—2 გაზეთი მცხოვრებთა რაოდენობაზედ რომ ვიანგარიშოთ, რუსეთში თითო გაზეთი 166,880$^{1}/_{2}$ მკვიდრზედ მოდის.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მაისი.

**პეტერბურგი.** 12 მაისს ხელმწიფე იმპერატორი დაესწრო სუვოროვის პანაშვიდზე ალექსანდრე-ნეველის ლავრაში.

**დურბანი.** ოფიციალურად. აქ ერთი ინდოელი გახდა ავად შავის ჭირით და გარდაიცვალა. იმ წამსვე მიღებულ იქმნა საჭირო ღონისძიებანი.

**ლორენცო-მარკეზი.** ტრანსვაალის მთავრობამ გამოსცა მანიფესტი, რომლითაც ბურგერებს ეკითხება, საჭიროა ომის განგრძობა თუ ზავის შეკვრაო.

**ტიანძინი.** გენერალი იონგფუტენგა, გაგზავნილი მეამბოხეთა წინააღმდეგ, მათის სარდალის მიერ იქმნა მოკლული. გაგზავნილია ახალი ჯარი მეამბოხეთა წინააღმდეგ.

**ლოძი.** ზარალი ემდეს ქარხნის ცეცხლის წაკიდებისაგან 180,000 მანეთია.

**მოსკოვი.** დაიწყო პირველი კრება ზნეობის გამასწორებელ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა.

**პარიჟი.** საფრანგეთის ბანკმა დისკონტი 3%-მდე დასწია.

**კიმბერლეი.** გუნტერის ჯარი ფრეიბურგში მივიდა. ფრეიბურგამდე რკინის გზის მიმოსვლა კვლავ დაიწყო.

**დარმშტადტი.** დღეს გარდაიცვალა დიდის ავადმყოფობის შემდეგ პრინცი ვილჰელმ ჰესენისა, დიდის ჰერცოგის მამა.

13 მაისი

**ნიუ იორკი.** ბრიტანიის სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების წლიური ნადიმის გამო ჩემბერლენისაგან დეპეშა იქმნა მიღებული, რომელშიაც იგი იუწყება,—ვწუხვარ, რომ ომის გამო ამერიკის საზოგადოებრივი აზრი ორად გაიყოო. მე არ ძალ-მიძს დავიჯერო, რომ ამერიკელებმა სამაგიერო არ გარდაუხადონ ბრიტანელებს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც ბრიტანელებმა აღმოუჩინეს ამერიკელებს ამერიკა-ისპანიის ომის დროსაო. როზბერი სწერს, რომ ეს ომი იმდენსავე სარგებლობას მოუტანს ამერიკას, რამდენსაც დიდ ბრიტანიას; რადგან დიდი ბრიტანია იძულებულ იქმნება ყოველგვარი მსხვერპლი შესწიროს ამ ომს, ამიტომ მას იმედი უნდა ჰქონდეს ამერიკისაგან, რომ იგი ზნეობრივად დაეხმარება და სიკეთეს უსურვებსო.

**კონსტანტინეპოლი.** სომეხ-გრიგორიანთა პატრიარქი ორმანიანი, ილდიზ-კიოსკში მიწვეული, დაარწმუნეს, რომ სულთანმა ბრძანება გასცა საკამათო საგნები საპატრიარქოს სურვილისამებრ იქმნას მოგვარებულიო; სულთანმა წინადადება მისცა პატრიარქს, უკუ-დაიბრუნეთ თხოვნა სამსახურის გადადგომის შესახებაო.

**პარიჟი.** სენატი. შომი კითხულობს, მართალია თუ არა ერთის გაზეთის მიერ ნაამბობი, ვითომ დრეიფუსის საქმის შესახების საბუთის ქაღალდები მოეპაროთო? გალიფემ უპასუხა: სამწუხაროდ, შევცდი, როდესაც პალატას გამოუცხადე, რომ ასეთი საბუთის ქაღალდები არა არსებობს-მეთქი; ჩემდა საწყენად, შევიტყე, რომ არამც თუ ყოფილა ასეთი საბუთის ქაღალდები, არამედ იგინი მოუპარავს სამხედრო სამინისტროს აფიცერს. ამ აფიცერს ჩვენება ჩამოერთვა და განაცხადა, რომ პოლიტიკური მოვალეობა აღვასრულეო. ამ აფიცერმა საზოგადო სამართლის წინააღმდეგ ჩაიდინა დანაშაული. ლომბერი აწყვეტინებს: „და ძალიანაც კარგი უქმნია!“ გალიფე: ჰპედავს და აგრე აძლევს პასუხს აფიცერი სამხედრო მინისტრს მაშინ, როდესაც სამხედრო წოდების კაცთა უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ პოლიტიკაში არ გაერივნენ“. (ხანგრძლივი ტაშის ცემა გაისმის). გალიფე დასძენს, რომ პრეზიდენტის ბრძანებით ის აფიცერი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგანაო. (მემარცხენეთაგან ტაშის ცემა გაისმის). ამ საბუთის ქაღალდებს შიგ-შიგ ზოგი რამ ეწერა და ცოტად თუ ბევრად დრეიფუსის საქმეს შეეხება. ამიერიდგან აღარავის მივცემ ნებას დაარღვიონ სამხედრო საიდუმლოება, რომელიც სავალდებულოა გარემოებათა მიხედვით (ტაშის ცემა გაისმის). მე ვარ პასუხის-მგებელი ყოველისავე იმისი, რაც მოხდა მას შემდეგ, რაც მე ვმეთაურობ სამხედრო სამინისტროშიო (ტაშის ცემა გაისმის). ვალდეკმა განმარტა, რომ ეს აფიცერი გვარად ფრიტში, რომელიც მეორე ბიუროში ჰმსახურებდაო. აშკარაა მთელი ეს იმ აზრით არის დაწყებული, რომ მთავრობა [illegible] საქმეში და პოლიტიკის უთ- ხრიდნენ ძირს, მაგრამ გალიფეს წყალობით მთელი ეს ამბავი დაატყდა იმას, რაც მეორე ბიუროსაგან იყო დაშთენილი; ეხლა კი იმისი ნაკვალევიც აღარ არისო (ტაშის ცემა გაისმის). ამითი გათავდა ეს ამბავი.

**ლონდონი.** როგორც ამას წინად იყო ნაუწყები, ჯერსის კუნძულზედ არეულობანი მოხდა ფრანგთა წინააღმდეგ. ფრანგების მაღაზიებს მინები ჩაამტვრიეს. ხალხი ჟანდარმა გაჰფანტა. 30 კაცია დაპატიმრებული.

**პეტერბურგი.** ვოლოგდის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი გრაფი მუსინ-პუშკინი დანიშნულ იქმნა საუფლისწულო მამულების მთავარ-სამმართველოს უფროსის თანაშემწედ.

# განცხადებანი

ამ ნომერში 14 გვერდია.

### ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა, ბანკის წესდების მე-14 §-ის თანახმად, ამით აცხადებს, რომ ივნისს ამა 1900 წლისას, ქ. ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სახლში, საჯარო ვაჭრობით გაისყიდება უძრავი ქონებანი ქვემოხსენებულთა, ბანკის წესდებით დადგენილ გარდასახადების შემოუტანობლისათვის, მე-12, 17, 27, 28, და 36 §§-მებრ.

ვაჭრობა იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, მოხდება: 1) ქალაქის მამულებისა, **ტფილისისა**—15 ივნისს; 2) **ტფილისს გარეშე** ქალაქებისა და აგრეთვე იმ მამულებისა, რომლებზედაც გრძელ-ვადიანი სესხია გაცემული, როგორც ქალაქის მამულებზე—17 ივნისს; 3) **სოფლის მამულებისა**, რომლებზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი—19 ივნისს; და 4) სოფლის და ქალაქის მამულებისა, რომლებზედაც გაცემულია **ხანმოკლე-ვადიანი** სესხი—21 ივნისს.

მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ყველა მამულებისა, ბანკის წესდების მე-20 §-ის თანახმად, მოხდება იმავე გამგეობაში 6 ივლისს 1900 წლისა.

ვაჭრობა, ბანკის წესდების მე 17 §-ის თანახმად, ქვემოხსენებულ ვალის ჯამიდგან დაიწყება და მასვე მიემატება სავალო და სხვა გარდასახდელი ხარჯი.

ვისაც იმ მამულების ვაჭრობაში ჰსურს მონაწილეობა მიიღოს, რომელ გირაოზედაც გაცემულია გძელვადიანი სესხი, აგრეთვე ის მოკლე ვადიანი სესხნი, რომელთა თავნი ვალის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, ვალდებულია წარადგინოს ნაღდ ფულად გირაო, რომელიც უნდა უდრიდეს ბანკში შესატან დარჩენილ გადასახადთა, და აგრეთვე იმ დარჩენილ საქალაქო და საერობო გადასახადთაც, რომლებიც ვაჭრობის დღისთვის მამულზედ აღმოჩნდება. იმ მამულებისა-კი, რომელთ გირაოზედაც მოკლე-ვადიანი სესხია გაცემული და რომელთ გადახდის ვადა დამდგარია,—უნდა წარადგინოს გირაო, ზემოაღნიშნულ თანხის გარდა, თავნი ვალის 10% კიდევ.

ვაჭრობის დამთავრების შემდეგ მსყიდველი ვალდებულია წარადგინოს: ნასყიდობის გარდასახადი—7 დღის განმავლობაში, და ის ფული, რომელსაც ვაჭრობაში წაუმატებს-14 დღის განმავლობაში ვაჭრობის დღიდგან.

თავნი ვალი გრძელ-ვადიანის სესხისა, აგრეთვე იმ მოკლე-ვადიანის სესხისა, რომელთ გადასახადის ვადა ჯერ არ დამდგარა, მყიდველს შეუძლიან თავისს სახელზედ გადმოიტანოს, ისე კი, რომ პირველ მფლობელის ყოველივე ვალდებულება თვითონ იკისროს. ხოლო იმ მოკლე-ვადიან სესხის თავნი ვალი-კი, რომლის გარდახდის ვადა დამდგარია, მყიდველმა სავსებით უნდა გარდაიხადოს ნაღდ ფულად 14 დღის განმავლობაში.

ბანკის წესდების მე-15 §-ის თანახმად პატრონს შეუძლიან შემოიტანოს დარჩენილი გარდასახადი ვაჭრობის დღემდე და მაშინ მამული არ გაიყიდება.

ვისაც ვაჭრობაში ჰსურს მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან გასასყიდ საშუალების შესახები საქმენი ბანკის კანცელარიაში განიხილოს ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა.

ამასთან გამგეობა ბანკისა აცხადებს, რომ თუ ვინიცობაა პირველ დასაწყისი აწერილობა მამულისა არ შეეთანხმება ნამდვილს ვითარებას, იგი ამისათვის პასუხის მგებლობას არა ჰკისრულობს.

## I. ქალაქის მამულები,

რომელთ გირაოზედაც გაცემულია გრძელ-ვადიანი სესხი.

(ვაჭრობა მოხდება 15 ივნისს 1900 წ.)

### ტფილისის გუბერნია

ტფილისისა:

აბლოგინები ნიკოლოოზ ნიკიტას ძე და აკულინა ილიას ასული: შენობანი მიწით, ზომით 66$^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხი საჟენი, ხოჯივანქისა და ლუკოვსკის ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი 1583 მ. 82 კ., შემოსატ. გარდ. 74 მ. 20 კ.. სულ 1658 მ. 2 კ.

აგარონოვისა ეკატერინე იაკობის ასული: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორ-სართულიანი შენობა, მიწა ზომით 287$^{1}/_{2}$ ოთხ-კ. არშინი მე-5 ნაწილში, თომას ვიწრო ქუჩაში. თავნი ვალი 2904 მ. 19 კ., შემოსატ. გარდ. 128 მ. 61 კ., სულ 3032 მ. 80 კ.

ადამაშვილი გიორგი ადამას ძე: ერთ-სართულიანი სახლი და ასეთივე შენობა, მიწა ზომით 50 საჟ. 1$^{3}/_{4}$ არშინი ოთხ-კ. 1 ნაწილში, წყნეთის ქუჩის ზემოთ. თავნი ვალი 1083 მ. 73 კ., შემოსატ. გარდ 52 მ. 96 კ. სულ 1136 მ. 69 კ.

აირაპეტოვი სერგეი ავეტიქას ძე: ერთ-სართულიანი სახლი სარდაფით და 4 თითო სართულიანი ფლიგელი, რომელთაგან ერთი სარდაფიანია. მიწა ზომით 88 ოთხ-კ. საჟ. მე-5 ნაწილში, ფეთხაინის ვიწრო ქუჩაში. თავნი ვალი 1354 მ. 63 კ., შემოსატ. გარდ. 74 მ. 14 კ., სულ 1428 მ. 77 კ.

არღუთინსკი-დოლგორუკი გრიგოლ ასლანის ძე: შენობანი, მიწა ზომით 119,4 ოთხ-კ. საჟენი. 1 ნაწილში, მაკაროვის ქუჩაზედ. თავნი ვალი 15521 მ. 52 კ., შემოსატ. გარდ. 362 მ. 35 კ., სულ 15883 მ. 87 კ.

არღუთინსკი-დოლგორუკი ნიკოლოოზ ანდრიას ძე: 16 დუქანი, მიწა ზომით 268 ოთხ-კ. საჟ. 1 ნაწილში, ოლგას ქუჩაზედ. თავნი ვალი 4516 მ. 85 კ., შემოსატ. გარდ. 252 მ. 97 კ., სულ 4769 მ. 82 კ.

არჯევანიძე სიმონ ისააკის ძე: ორ-სართულიანი სახლი და სარაია, მიწა ზომით 42,7 ოთხ-კ. საჟ. მე-2 ნაწ., მე-2 ნაპირნის ქუჩაზედ. თავნი ვალი 1083 მ. 73 კ., შემოსატ. გარდ. 52 მ. 96 კ., სულ 1136 მ. 69 კ.

არუთინოვისა ნატალია . ივანეს ასული: შენობანი, მიწა ზომით: საბუთების ქაღალდებით 134 საჟ. 1 არშინი ოთხ-კ., ხოლო დამფასებელთა აქტით 159.23 ოთხ-კ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. მე-9 ნაწილში, სირაჩხანისა და ციციანოვის აღმართზედ. თავნი ვალი 11750 მ. 85 კ., შემოს. გარდ. 254 მ. 15 კ., სულ 12005 მ.

არუთინოვი დარჩო მოსეს ძე: ორ-სართულიანი სახლი სარდაფით და ორის ასეთივე მიშენებულით და ორ-სართულიანი ფლიგელი, მიწა ზომით 131$^{1}/_{2}$ ოთხ-კ. საჟ. ანუ რამდენიც აღმოჩნდება. მე-9 ნაწილში, მოსტოვისა და ნიკოლოოზის ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი 25820 მ. 64 კ., შემოს. გარდ. 975 მ. 91 კ., სულ 26796 მ. 55 კ.

არუთინოვი პოლოს პაპიკას ძე: შენობანი, მიწა ზომით 61,36 ოთხ კ. საჟ., მეტეხისა, ვოლკოვისა და მაჩაბლის ქუჩებზედ. თავნი ვალი 11878 მ. 65 კ., შემოს. გარდ. 407 მ. 50 კ., სულ 12286 მ. 15 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე